

1970
გაგა
"გაგა...
...
...
..."
№ 10 საპროგრამო-საგანმანათლებლო
შუამდგომელი პერიოდიკული
1955

საქართველოს
საბავშვო
საზოგადოებრივი
სამსახური

572 / 3
1955



შემოდგომა

მარკან ლაბანიაძე

ნახატი მ. არინიანილინი

რატომ გვიყვარს შემოდგომა
 ვეკლას—დიდს თუ ზატარას?
 იმიტომ, რომ კაკაღს
 ბერტყენ,
 აღუღებენ თათარას.
 იმიტომ, რომ
 ვენასს კრეფენ,
 ქვევრებს რეცხენ დიხანს;
 იმიტომ, რომ
 რაც ხილია—
 ვეკლა ხილი მწიფუა.
 რატომ გვიყვარს შემოდგომა
 ვეკლას ასე ძალიან?
 იმიტომ, რომ საფსვა
 ბუღელი და ხალია.
 იმიტომ, რომ საფსვა
 კალათი და გოდორი,
 იმიტომ, რომ ირევა
 ცაში ოქროს ფოთოლი...
 დღეები ცისფერია,
 მზისფერია ვეღები.
 — გრუტ, გრუტ, — დაფრენენ
 უანებს მწიფობელები.
 სადღაც ბოლავს ბუხარი,
 სადღაც მორი იზობა
 და ურდ გენძის გრუტუნია:
 — მწიფობა!
 — მწიფობა!
 სკოლის შემდეგ სიძფერთ
 შინისაკენ ვბრუნდებით.
 შეესვა ვენასებს
 გზა-გზა ჩვენი გუნდები.



მარტო ჭამა როდი ვიცით,
 კრეფაც ვიცით ბიჭებში;
 ხილის ქურდი თუ არა ხარ,
 ვეკლა გეზტიყება...
 მაგრამ რა დროს ქურდობას!
 ირგვლივ ვეკლავს ხილია,
 სიმძიმისგან გულები
 ტოტი მოტყეხილია...
 აგერ ოცი შეჭეჭური
 გზაში დაგორებულა,
 მისდგომია კუდა გოჭი—
 სულ მთლად გადორებულა.
 ასეთია შემოდგომა,
 გარს ფოთლების მუხატავი;
 მწიფე განლაგს ურმენი,
 მწიფე განლაგს ატაში,
 მწიფე განლაგს ვაძლი,
 მწიფე განლაგს ბია...
 სახლში,
 ბაღში,
 გზაში, —
 ვეკლავს ხილი ვრია.
 რა სჯობია შემოდგომის
 საოცნებო დღეებს!
 ალაგ—წითელ,
 ალაგ—ვეითელ
 კორტოხებს და ტყეებს.
 რა სჯობია შემოდგომას—
 ამ გულკეთილ ზანას!
 კაცის შრომით,
 კაცის ხელით
 აჭრელებულ მთა-ბარს.



1917

ა. ლუპაძე

ნახატები მ. მოთინაძისა

კახვი ბავშვთილი

ივანე ვლადიმერის-ძე მიჩურინის ბა-
ლი განცალკევებულ ადგილას, მდინარის
მოსახვევთან იყო გაშენებული. ეს აღ-
გილი ნახევარკუნძულს წააგავდა; იქ-
ვე ახლოს დაბა დონსკაია და სოფელი
პანსკოე მდებარეობდა. ქალაქი კოხლო-
ვიც შორს არ იყო, სულ ერთი კილო-
მეტრი თუ იქნებოდა იქამდე.

სოფელი და ქალაქელი ბავშვები
ხშირად უტრიალებდნენ მიჩურინის ბაღს,
მხოლოდ სასიკეთოდ კი არა, როგორც
ეს ჩვენს პიონერებს სჩვევიათ ხოლმე.

ეს ამბავი მოხდა რევოლუციამდე დი-
დი ხნით ადრე, როცა პიონერებისა და
ნორჩი ნატურალისტების ხსენებაც კი არ
იყო. ბავშვებს მშობლები არ უხსნიდნენ,
თუ ვინ იყო მიჩურინი, არ უნერგავდნენ
დიდი მეცნიერისადმი პატივისცემას. იმა-

თაც არ ჰქონდათ წარმოდგენა ამ შესა-
ნიშნავ ადამიანზე.

ბიჭები ხშირად არბევდნენ მიჩურინის
საუცხოო ბაღს. როცა მიჩურინი ბაღში
არ იყო, ბავშვები ღობეზე გადაცოცლე-
ბოდნენ ან ქვეშ გაძვრებოდნენ და რას
არ სჩადიოდნენ: ჯერ კიდევ მკვახე ვაშ-
ლსა და მსხალს ჩამოყრიდნენ, მიჩური-
ნის სათუთად მოვლილ ხეხილს ტოტებ-
საც ამტვრევდნენ.

ბავშვების ამგვარმა თარეშმა ბევრჯერ
ატყინა-გული ივანე ვლადიმერის-ძეს.

ღლეღლე მოელოდა იგი ახლად-
გამოყვანილ ნაყოფს, თვალყურს ადევ-
ნებდა, თუ როგორ მწიფდებოდა ახალი,
ჯერ კიდევ უცნობი ჯიშის ვაშლი. მაგ-
რამ აი, შევიდა ბაღში... და რა ნახა!
მთლად გაეკრიფათ ნაშენები უზუნურ,

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი
საბჭოთავი
საბავშვო ჟურნალი

აბეზარ ბავშვებს. ერთი ცალიც არ დაეტოვებინათ...

მიჩურინი იმ დროს ისე ხელმოკლედ ცხოვრობდა, რომ დარაჯის აყვანის თავი არ ჰქონდა, მეფის ხელისუფლება მას არ ეხმარებოდა. დიდრონი ნავაზების შენახვაც კი გაუჭირდებოდა. ერთი პატარა წითური ცუგა ჰყავდა მხოლოდ. აბა, ეს ფინია ბალს როგორ დაიცავდა!

ონავარი ბავშვები ბაღში ღამით ან დილაადრიან შეიპარებოდნენ ხოლმე და იქაურობას იკლებდნენ; თავს ერთად მოიყრიდნენ, მზვერავენს დააყენებდნენ და ოდნავი საფრთხისთანავე თავგებივით გარბოდნენ, ან ბაყაყებივით მდინარეში მოადენდნენ ტყაპანს, მათი კვალიც კი აღიარად იყო, წყლის შესხეფებდა თუ მოჰყარავდით თვალს.

ამ ონავრების ერთ-ერთი მეთაური ქერათმიანი, ჯმუხა ბიჭი პავლუშკა იყო.



ხეზე აძრომაში ვერავინ სჯობნიდა, სიღრმე ბილი კი უჭირდა.

ჰოდა, ერთხელ ივანე ვლადიმერის-ძე ჩაუსაფრდა პავლუშკას და მის ამხანაგებს.

— ხომ ჩამივარდი ხელში, შე არამზადავ! — შეუყვირა მიჩურინმა და პავლუშკას მხარში სწვდა.

ამასობაში პავლუშკას ამხანაგებმა მოუსვეს.

მიჩურინი ხელში გამომწყვდეულ ბიჭს დასცქეროდა.

შიშით მთლად გაფითრებული პავლუშკა ვერხვის ფოთოლივით ცახცახებდა.

„ახლა კი დავიღუპე!“ — გაუეღვა ქოჩორა თავში პავლუშკას.

მაგრამ მიჩურინმა მხოლოდ ერთი ლახათიანად შეანჯღრია თავზედი ბიჭი და უთხრა:

— როგორ არ გრცხვენიათ, ბავშვებო, ბალს რომ მიქურდავთ? ეს ხომ უბრალო ბალი არ არის. ეს ბალი ისევ თქვენთვის მინდა, ხალხისათვის ვაშენებ... თქვენ არ გესმით, ეს ვაშლის, მსხლის და ალუბლის ხეები რა ძვირფასია!... შენ ლოყაწითელ ვაშლს მომპარავ და შევკამ, ეს არის და ეს, მე კი შეიძლება ამ ვაშლის თესლისაგან ისეთი ხე გამოვიყვანო, შენ რომ არც კი დავგისზმრება!

პავლუშკა შიშისაგან ისევ თრთოდა და ქსიტინებდა.

— თქვენ ყველას მზამზარეულზე დაგიყვითათ თვალები, განაგრძობდა მიჩურინი, თითქოს თავისთავს ესაუბრებოდა, — ის კი არ გესმით, რომ ამით გამასპინძლება ჯერ აღრუა. გაიგეთ, ჯერ მწიფე არ არის! როცა ხილი შემოვა, მე თვითონ დაგპატიყებთ, სუფრას გაგიშლით, ვაშლისა და მსხლის გორებს დავაყენებ... შეექცით, გაიხარეთ, მიჩურინს გამარჯვება მიულოცეთ!

პავლუშკამ კარგად ვერც გაიგო მიჩურინის ნათქვამი, მაგრამ მაინც შერცხვა.

მიჩურინმა დაუბატიყებელი სტუმარი იმ ნორჩ ხეხილთან მიიყვანა, რომელიც



პავლუშკა აღარ ცახცახებდა, მაგრამ ისე ქსიტინებდა, თითქოს ეს-ეს არის სირცხვილისა და ჯავრისაგან გული გაუსკდებოდა.

„ნეტავ ერთი მაგრად მივებგვე და გავვშვი! ასეთი სირცხვილის ჭამას სჯობდა მიწა გამსკდომოდა და თან ჩავეტანე...“ — ფიქრობდა დაღონებული პავლუშკა.

ბოლოს, როცა მთელი ბალი შემოიარეს, მიჩურინმა პავლუშკა წაიყვანა... როგორ გვინათ, საღ? ჭიშკრისაკენ კი არა, თავისთან, სახლში მიიყვანა ისევ მზარში ხელჩაფლებული.

— ეს ვინ მოიყვანე? — შეეკითხა მიჩურინს მისი მუდღე ალექსანდრა ვასილის ასული.

— სტუმარი! — ჩაიცინა მიჩურინმა, — სამოვარი უნდა ავადულოთ. სტუმარს პატივი უნდა ვცეთ... ჩაიზე მურაბა მოართვი...

დილის მზის სხივები დასამაშებდა გაკრიალებულ სამოვარს და მურაბით საესე ბროლის ვაზებს.

ალექსანდრა ვასილის ასულმა ჩაი და-

ჯერ შემოუსვლელი, მაგრამ მშვენიერი ნაყოფით იყო დახუნძლული.

— აბა, კარგად შეხედე და დააკვირდი!.. თქვენთვის ეს უბრალო მაჟალოა, მოკებჩ და გადაისვრი. ხოლო მე ამ ხისაგან რამდენიმე წლის შემდეგ ისეთ ვაშლს გამოვიყვან, ისეთს, რომლის მსგავსს ყირიმშიაც ვერა ნახავთ. აი, ასე წლობით ველოდები, თავს ვეველები და ისე გამომყავს ახალი ჯიში. ზოგჯერ ათი, თხუთმეტი წელი ველოლიავები, თქვენ კი შემოიჭრებით ჩემს ბაღში და ერთ საათში ანადგურებთ მთელ ჩემ ნაამბარს.

მთელი ბალი შემოატარა პავლუშკას, ცუვითაც არა სცემა, გაშვებითაც არ გაუშვა.

ამ საშინელი, მაგრამ შესანიშნავი შემოვლის დროს ბევრი რამ საინტერესო გაიგო პავლუშკამ მიჩურინისაგან.

— გაიზრდები და შესაძლოა, შენ თვითონ გამოიყვანო ასეთი ვაშლები და მსხლები, — დროდადრო განაგრძობდა მიჩურინი, — აი, მაშინ მოიგონებ, რასაც ახლა გეუბნები.



ასხა. მიჩურინმა კი თავისი ხელით წაუსვა პურის დიდ ნაჭერს უკურკო ალუბლის მურაბა და პავლუშკას წინ დაუდო. ასეთ მასპინძლობაზე სირცხვილით მთლად დაიწვა პავლუშკა.

— ჯამე, რისა გეშინია! — უთხრა მიჩურინმა.

პავლუშკამ ვეღარ შეიმაგრა თავი და ატირდა. პურთან ერთად ყლაპავდა ცრემლებს. სველი ლოყები მურაბით მოეთხუპნა.

- რა გატირებს? შეგრცხვა განა?..
- მრცხვენია. — ამოილულულა პავლუშკამ.
- კიდევ მოიპარავ ვაშლებს?
- თქვენსას... აღარ. — დიდი ხნის დუმილის შემდეგ მიუგო პავლუშკამ.
- სხვებისას? — გაელიმა მიჩურინს.
- ამაზე აღარაფერი უპასუხა პავლუშკამ, თითქოს პირში წყალი ჩაიგუბაო.
- ბოლოს, როცა ივანე ვლადიმერის-ძემ

ავლუშკა გაისტუმრა, მან მაშინვე შეკრიბა მთელი ბიჭები და სასტიკად აუკრძალა მათ „გრძელუღევაშას“ (ასე ეძახდნენ ბავშვები მიჩურინს) ბაღში გადაპარვა.


— მან მითხრა, მაშინ მოდიტ ბაღში, როცა მე თვითონ დაგპატიებთო, — მამართა ბიჭებს პავლუშკამ და თან დაემუქრა, — ვინც მიჩურინის ბაღში შეპარვას გაბედავს, იცოდეთ, გვერდებს ჩავუმტვრევ!

რადგან პავლუშკა ყველაზე ღონიერი და გაბედული იყო და თანაც მათ მოთავედ ითვლებოდა, ბიჭებმა დაუჯერეს.

ამის შემდეგ მიჩურინის ბაღში ბავშვების თარეში შეწყდა.

არც პავლუშკა, არც მისი ამხანაგები მიჩურინის ბაღში აღარ გამოჩენილან.

თარგმანი თ. ანდლუპიძის



ყანა

გულს გვივსებდა ლურჯი მთები,
წისქვილი და ველი,
იმის იქით მობობინე
ყანა ზღვების ფერი.

ყანის მარგვლას ვუდგებოდით
წელში ოდნავ მოხრით,
ბიძახები დიდი თოხით,
მე—ზატარა თოხით.



ცხელი ჭაღი, ღობიო და
ზედგე ზრასის ძირი...
ნასადილეგს ტუბილი იუო
ცაცხვის ჩრდილში მიდი...

როცა ყანა ტანს იურიდა,
უღვამს ქარზე შლიდა,

ჩვენს გარშემო ჟღერტულებდა
ფრინველების გუნდი,
ვმუშაობდით...
თავს კვეხურა
მწვანე ფოთლის ქედი.

მოაღწევდა სადილობა,
ცა გუფარავდა წენარი,
ამოქონდა მთის ძირიდან
ღოქით ღარის წუაღი.




სიმინდების შავ-შავ უღვასს
ვიკეთებდი მშვიდად.

ბიძაჩემის მსგავსად ვიდექ
წელში ოდნავ მოხრით,
მე ნამდვილი კაცი ვჩანდი
პაწაწინა თოხით.

შემოდგომა,
შემოდგომა,
მოჩითული კაბით,
მოვიდოდა ვეელანს კართან
რადაც დიდის აბით.

ისევ იქ დგას ლურჯი უანა,
ისევ მთიდან ვუსცქერ.
ამრიალებს ზენაქარი
სიმინდების ფურცლებს.



ხელებს მიქნევს ლურჯი უანა,
წისქვილი და ველი,
ის ბავშვობა მაგონდება
და იმ მთების ფერი.

ხურდებოდა უანის ტეხა
და ხარხარი ხშირი;
ოც ტაროზე მითითებდნენ:
— აი, შენი წილი!
რაც მართალი
მართალია,
კარგი იყო, ჩემო,
შუა ცეცხლზე შებრაწული
ჭეინტი ტაროს კემო.





ქ. ჭილაშვილი ნახატები პლ. ბანძალაძისა

ნათელას უიცი

ნათელა ლოგინში ჩაწვა თუ არა, პირი კედლისაკენ იბრუნა, ერთმანეთზე დაწყობილი ხელისგულები თავქვეშ ამოიღო და საბანს ქვემოდან დედას გახედა.

დედა ფერმკრთალი მოჩვენა, გამხდარი. ნათელამ საბანი ჩამოიშორა სახიდან და ლოგინში წამოაჯდა.

— დედიკო, ხომ არაფერი გაწუხებს? — შეეკითხა ნათელა საკერავით გართულ დედას.


— რა უნდა მაწუხებდეს, შვილო? — გაიკვირვა დედამ.

— დედიკო, მაშ, სულ არაფერი გაწუხებს? არც გული? — გაუმეორა ნათელამ შეკითხვა.

— რატომ მეკითხები, ნათელა, რა იყო?

— დედიკო, წელან მე და ნუნუ რომ ვთამაშობდით, შენი მოქარგული ახალი ბალიში უჭვენე და ვუთხარი, რომ მე მოქარგე-მეთქი. მან სიცილი დაიწყო, არ დამიჯერა, მე კი ვარწმუნებდი; აბა, დედა დაიფიცეო და მეც დაგიფიცე... ძლიერ მეფიქრება, ავად არ გახდე და... — აქ სიტყვა ვეღარ დაამთავრა ნათელამ და ატირდა.

— დამშვიდდი, ნათელა! ტყუილად დაფიცებაზე დედას არა მოუვა რა, მაგრამ შეილის სიცრუე კი გულს მოუკლავს. ნუნუსათვის რომ შენი ამოქარგული მტრედი გეჩვენებინა, ის დაგიჯერებდა, დედას აღარ დაგიფიცებდა... ხედავ, ტყუილი რა სანანებლად დაგირჩა! — მიუგო დედამ.





მინდორში მიყვნიერი უსუნო ვუფი-
ლი იდგა. ბავშვის მოყწონა, მოკლივია და
თაფის ვარდის კონაში წაბრჭო. ბატარა
ხნის შემდეგ უსუნა და იგრძნო, რომ ამ

ოკი მკომბარი და რთვი

გზაზე ორი მკომბარი მიდიოდა.
წინ დათვი დახუდათ. ერთი მამინევე
ხისკენ გაუქანა, სანქაროდ ზედ ავიდა
და იქ დამაშლა. შორე მარტოცა რომ
დარწა, მიწაზე დაეცა და თავი მოიმკვდ-
რუნა. მოვიდა დათვი და კერი დადო.
კაცმა ხული შეიკუბა, ცვოდა, რომ დათ-
ვი მკვდარს არას ვრწის. მართლაც.

დათვმა არა დაუშვა რა და თავის გზა-
ზე წავიდა.
მამინ ხიდან მისი ამხანაგი ჩამოვიდა
და ჭეთხა: დათვი ეწრმი რას გქწურ-
წულგობოდა?
— ის მე მიწმყვდა, კვლავ ნულარ
წახულა იმისთანა მკომბართან, რომელ-
მაც გაჭირგების დროს დალატი იცისო.



ვევილს ვარდის ხანქერი ხუნი მისცე-
მოდა. ბავშვი დაღიქრდა და თქვა: ახლა
გი მივხედი, დედაქუმი რად მიწმწეს კარგ
ამხანაგებში ვოფუნალო.

მელია და ქოთანი

გლეხი ეჩანს მკიდა. ცოლმა სადი-
ლად ერთი ქოთანი მწწონი მოუტანა და
მხასთან დადგა. მუღი საიდანდაც გან-
და, ქოთანს მიგებრა, ჩაჭო მიკ თავი
და ხანწრავოთდ სულ ამოსვლიდა. მწწო-
ნი რომ გაათავა, თავი ამოსწია, უნდა
ამოვლო და მოკურცხლა, მაგრამ დახე
სოფათხა—თავი მიკ გაუქვდა და ვუღარ
ამოილო. მუღი დადიოდა და ქოთანს
უგბწოლოდა: «გარეკი, ქოთანო, მკგეჩი

ხუმრობა გეყოფა, ახლა გაშიმეი!» მკე-
რამ ქოთანს მუღიას არ ვუგებოდა. მუ-
ღია გუჯავრდა: «მოიცა, მე დწწველი-
ლო ქოთანო, მე ზწ რა გეყო, არ
კერდა მეწ თავად მომწორდგ და მიეწურე,
როგორ დაგახწწო!» მუღია მდინარე-
საკენ გაიქცა, ქოთანს მიკ ჩაეწურე-
ლავა, თავის გწევაში უნდა დაგხწწო;
წუღლმა ქოთანს მართლაც ჩამებრა, მკე-
რამ ქოთანს მუღაც თან ჩაიტანა.





შეცდომა

ნ. ბუხარაშვილი

ნახატი ულ. ვუხუაძისა

პატარა გოგონამ კიბე აირბინა და წიგნის კითხვაში გართულ მანანასთან მივიდა.

— მანანა, ჩვენი უბნის გოგო-ბიჭები მაყვლის საკრეფად მიდიან, არ წამოხვალ? მანანამ წიგნის კითხვა შეწყვიტა და მოწყენით უთხრა:

— შენ წადი, თამრიკო, მე არა მცალია. გუშინდელი გაკვეთილიც უნდა ვისწავლო და დღევანდელიც. იცი, დღეს რა დამემართა?

წელს, პირველ სექტემბერს, დილით ადრე გავიქეცი სკოლაში. ზარი დაირგია თუ არა, კლასში პირველი მე შევედი, მინდოდა წელსაც პირველ მერხზე დავმჯდარიყავი. მაგრამ მასწავლებელმა სასულ ბოლო მერხზე დამსვა. ძალიან მეწყინა, ვიფიქრე, მასწავლებელი ველარ დამინახავდა.

ერთხელ ამხანაგებს შევჩვილე: უკანა მერხზე ჯდომა არ მინდა-მეთქი. სხვებმა არაფერი თქვეს. თინამ კი მითხრა:

— შენისთანა აყლაყუდას წინ ვინ დასვამს! თანაც რა გადარდებს, უკანა მერხზე ჯდომას რა სჯობია? თუ როდისმე გაკვეთილი არ გეცოდინება, სხვას ამოეფარები და მასწავლებელი ველარ დაგინახავს.

სხვა დროს რომ ეთქვა თინას „აყლაყუდა ხარო“, არ შევიარჩენდი, მაგრამ მაშინ მამაც არ ამოვიღე, რადგან თინას სიტყვები მომეწყონა და დავიხსომე კიდევც.

გუშინ დედამ ბებიასთან გამგზავნა. იქ ბევრი ბავშვი შეიკრიბა. ისეთი თამაში გავაბით, რომ ყურთასმენა აღარ იყო. თუმცა გაკვეთილები არ მქონდა ნასწავლი, ღამე მაინც იქ დავრჩი. ვიფიქრე: რა უშავს, ერთ დღეს არ ვისწავლი გაკვეთილებს, უკანა მერხზე ვზივარ, მასწავლებელი მაინც ვერ დამინახავს-მეთქი.

ძნელი ყოფილა, თუ გაკვეთილი არ იცი. გრცხვენია, იბუზები, ამხანაგებისა და მასწავლებლის მოსატყუებლად თითს მაინც სწევ. თითი კი იხრება, თითქოს მასაც რცხვენია. მეც სწორედ ასე დამემართა. ველარუკინ დამიფარა და მასწავლებელმა სწორედ მე გამომიძახა:

— რას იმალები, მანანა, ადექი, გაკვეთილი მიაბე.

აედექი, მაგრამ სირცხვილისაგან ყურებამდე გაუწითლდი. მესამე წელია კლასში ვარ და ჯერ ასეთი რამ არ მომსვლია. შევცდი.

თურმე გაკვეთილზე მასწავლებელს ვერ დაემალე. სადაც გინდა იჯდე, ის მაინც დაგინახავს. არა, ასეთ შეცდომას აღარ ჩავიდენ!

არა, მე არ დავკარგულვარ

აგარაკზე დედამ ტყეში
წაიყვანა ნია;
ნია ამბობს:—მე კურდღლების
სულ არ მეშინია!

თუნდაც მგელი შემეყაროს,
ქვას დავარტყამ თავში;
მშიშარა კი არ გეგონოთ,
როგორც ზოგი ბავშვი!

ეკალი რომ ფეხს გამკაწრავს,
მამინაც არ ვტირი!..
დედამ უთხრა:—ყოჩაღ, ნია,
გოგო მყავხარ გმირი!

გაიხედეთ, რა ლამაზი
ჭრელი პებლებია!
ტყის ყვაილებს ფრთავაშლილი
როგორ ევლებიან!

მე ნაძვის ქვეშ წიგნს ვიკითხავ,
შენ კი, ჩემო კარგო,
შორს ნუ წახვალ, აქ იხტუნე,
არსად დამეკარგო!



დედა წიგნმა გაიტაცა,
და პებლებმა—ნია;
დედიკოს რომ ჩამოშორდა,
ვერც კი შეამჩნია.

მოიხედა და რას ხედავს:
არსად არის დედა!..
სურს იტიროს, მაგრამ მარტო
ტირილს ვედარ ბედავს.

თუნდ გაბედოს და იტიროს,
ტირილი რას არგებს?
უცებ ესმის:—შენ, გოგონა,
ხომ არ დაიკარგე?!

ნია მზევით აიხედა,
ტყის მცველს ხედავს კარგად.
უთხრა:—მე არ დავკარგულვარ,
დედა დაიკარგა!

ამ დროს დედაც იქვე გაჩნდა.
გულს მოეშვა სევდა;
ნიას სახე გაუბრწყინდა,
რომ იპოვა დედა.



უკუდო მალია

ზირველკლასელებს
 ბოლო გაკვეთილად
 ხელგარჯილობა ჰქონ-
 დათ. ზოგმა ვარსკე-
 ლავი გამოემერწა, ზოგ-
 მა — მტრედი. გიორ-
 გიმაც ბლომად დაიწ-
 ეო წინ ზღასტილინის
 ნაჭრები.

— მე ვეკლასე ლა-
 მასი მეღია უნდა გა-
 ვაკეთო, კრძელი ფუშ-
 ფუშა კუდით. — გაიმა-
 სოდა იგი, თუმცა ჯერ
 თითიც არ დაეკარებინა.
 თავი ხან მარცხნივ
 ჰქონდა მოღრეცილი
 და ხან მარჯვნივ, ვეუ-
 ლას ხელელები ჩაჭკირ-
 კიტებდა: ვინ რას აკე-
 თებსო.

ბოლოს, თვითონაც დაიწეო მე-
 შაობა: ჩხირები მოიპარჯვა და მე-
 ლია ფეხებზე შეაუნა. მაგრამ უცებ ისევ
 მიანება მეღიას თავი, ამხანაგს ხელი
 წაჭკრა და ჩურჩულით ანიშნა უკანა მა-
 გიდისაკენ:



— ზურიკო, ნეტავ ისინი რას აკე-
 თებენ თუ იცია?!

— მერე ვნახავ, ჯერ არა მცალია. —
 ჩაიღანარაკა ზურიკომ და თავისი საქ-
 მე განაგრძო.

— ეგ როგორი გემია? — შეანჯღრია
 ზურიკოს გემი გიორგიმ.

— გიორგი, ხელს ნუ უშლი ამხა-
 ნაგს. — უთხრა მასწავლებელმა.

გიორგი ისევ მეღიას მიუბრუნდა და
 თავი გაუკეთა. ამასობაში ზოგმა უბე-
 დაამთავრა მერწვა და თავისი ნამუშევარი
 მასწავლებელს წინ დაუწეო.

— კარგია, ძალიან კარგია. — მოი-
 წონა მან.

გიორგი წამოდგა და თვალმდებლად

ტილი მასწავლებელს ხელებში შეაცქერდა. ხეზე შემჯდარ ვეპუს ვეველის მოზრდილი ნაჭერი ჰქონდა ჰირში. ქვევიდან კი ეშმაკუნა მელისა ზირდაღებული შესცქეროდა.

— უეურეთ, უეურეთ, ნამდვილი ვეველის ნაჭერი აქვს ევანხალას ჰირში! — წამოიძახა მან და მაკიდასთან უფრო ახლოს მივიდა.

— გიორგი, შენ რაღა გააკეთე, აბა, ერთი მაჩვენე! — მიმართა მასწავლებელმა.

— შეე? მე ახლავე... — დაიბნა გიორგი, თავისი მაკიდისაკენ წავიდა და სწრაფად განაგრძო მუშაობა; ოთხფეხზე შემდგარ დაუმთავრებელ მელისას ის იყო ქვებივით დაბრკვალებული უურები თავზე მიარტყანა, რომ სკოლის სარმაც გაიწკრივალა.

— ჯერ რა დროს ხარია, — უკმაყოფილოდ გაიქინა თავი შრომაში კართულმა გიორგიმ, — რა ადრე დარეკეს!

— გიორგი! — მოესმა ამ დროს მასწავლებლის ხმა, — აბა, მოიტანე შენი ნამეწი.

— ახლავე. — უპასუხა მან და სიჩქარით მელისას ცალი თვალი სვეით

გაუკეთა და ცალი ქვევით.


— არა უძვეს რა, მერე გაეუსწორებს! — ამოიოსრა ბიჭმა. — კუდილა და მრჩა! ოჰ, მაინც რად უნდა მელისას გრძელი და ფუჭფულა კუდი? რატომ თხა არ გაგაკეთე, ხელად მივატყეპებდი ჰატარა კუდს.

— ეს რა ცხოველია? — გაიკვირვა მასწავლებელმა, რომელიც მის გვერდით იდგა და დაუმთავრებელ მელისას შესცქეროდა.

— ჰატრეცემული მასწავლებელი, კუდის გაკეთება ვეღარ მოვასწარი, — წაიბურტბურტა გიორგიმ, — მელისას ძალიან გრძელი და მოხვეული კუდი აქვს, აი, ასეთი. — და მაკიდასზე ხელით მოხსნა.

— ეჰ, გიორგი, გიორგი! — ღმივით უთხრა მასწავლებელმა, — რომ ვერ მოასწარი, ეგ არაფერია, შემდეგ გაკეთილზე შეგიძლია დაასრულო. მაგრამ მთელი საათი სხვების ხელებში ჰგრეტას რომ მოუნდი და შენი მელისა კი უკუდო დავრჩა, ამაზე რაღას იტყვი?

გიორგიმ მორიდებით შესედა მასწავლებელს და გათხუნილი ხელი შუბლზე მაგრად მოისვა.



ზღაპარი ბიჭი ხარისა

პეპრას ხშირია ნახატები ზ. ლეჟავასი
ლიტველი მწერალი



ერთ კაცს უქნარა და გიყი ხარი ჰყავდა. ის არავის ინდობდა: ხბოს რქებით ფერდი გამოაგლიჯა, კრავს კოჭი მოსტება, ყანაში ჯეჯილი გადათელა. თუ თივა ან ჩალა არ მოეწონებოდა, ბაგას უმაღ რქებით ამოაყირავებდა.

პატრონმა აღარ იცოდა, ამ გიყი ხარისაგან თავი როგორ დაეღწია. მოინდომა მისი დაკვლა, მაგრამ ხარმა საცოდავად დაიბღაველა და პატრონმაც ვეღარ გაიმეტა.

— კარგი, არ დაგკლავ, მაგრამ უნდა გაგყიდო კი, მეტი ჯანი არ არის.— თქვა პატრონმა და ხარი ბაზარში წაიყვანა.

— რამდენად აფასებ მაგ ხარს?— შეეკითხა ვაჭარი და დააპირა ხარისთვის რქებში ხელი წაეველო. მაგრამ ხარმა ერთი მაგრად ურქინა, მერე მოწყდა ადგილიდან და გიყივით გაიქრა.

ხარმა ირბინა, ირბინა და ერთ ტყეში შევარდა. მიიხედ-მოიხედა და გადაწყვიტა: „მოდი აქ ვიცხოვრებ, ეს ტყე სწორედ საჩემო ადგილია. საქმელიც ბლომადაა და სასმელიც. გამოვძლები და როცა დავწვები, ფრინველებს ვუბრძანებ, სიმღერით დამაძინონო“.

თურმე იმ ხეზე, რომლის ძირშიც ხარმა ღამე გაათია, ბულბულს ჰქონდა ბუდე. დილით ხარმა გაიღვიძა თუ არა, წამოდგა, გაიზმორა და, როგორც სჩვეოდა, დაიწყო ზურგის ფხანა ხეზე. ხე აქრაილდა, შეირხა, ბულბულს შეემინდა და ჩამოსძახა:

ხარო, ხარო, ხარ-ხარო, ნაძვი ხეხვით გამხმარაო, ძილს ნუ უფრთხობ ბარტყებსაო, გაეცალე ამ ტყესაო.

მაგრამ გიყმა ხარმა ყური არ ათხოვა ბულბულს და დაემუქრა:

— მუუ! გამეცალე, სანამ ძალით გაგაგდებდე, გამეცალე, ვიდრე რქებზე ავაგებდე. მხრებს დავიფხან, საღაც მომესურვება, შენ ვინ გკითხავს, ასეთი მაქვს გუნება.

იფხანა და იფხანა ზურგი, აქანავა და აქანავა ხე. გაღმოვარდა ხიდან ბულბულის ბუდე, გაღმოვივდნენ ბარტყები. რაღა უნდა ექნა საწყალ ბულბულს? შემოჯდა ხის ტოტზე და მწარედ აქვითინდა.

ამ დროს ერთი ფუტკარი მოფრინავდა, შემოესმა ბულბულის კენესა და გული დაუღონდა. იქვე ბაყაყი დახტოდა, გაიგონა ბულბულის მოთქმა და გული სიბრალოლით აეცსო.

ფუტკარმა უთხრა ბულბულს:

— ეს გიყი ხარი აქედან როგორმე უნდა გადაკარგოთ.


ბუნების კაპი

უხნაუკი ნაყოფი

ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ აფრიკისა და ინდოეთის მცხოვრებლები ზღვის პირას ტალღების მიერ გამოირყეულ უჩვეულო ნაყოფს პოულობდნენ, რომელიც მოზრდილ სახამთროს წაავადდა და წონით 25—30 კილოგრამს აღწევდა.

ეს არაჩვეულებრივი ნაყოფი ორ თანაბარ ნაწილად იყოფა და გული ნოყიერი ნივთიერებით აქვს სავსე. ნაყოფის შიგნით მხოლოდ ერთ თესლს ნახავთ: მსოფლიოში არც ერთ სხვა მცენარეს არ გააჩნია ასეთი დიდი თესლი. ინდოელები მას სამკურნალოდ იყენებდნენ—მოშხამვის საწინააღმდეგოდ. ეს ნაყოფი იქ ძვირად ფასობდა. მოსახლეობამ არ იცოდა, სად იზრდებოდა, ან საიდან მოჰქონდა ზღვის ტალღებს ეს ნაყოფი. მათ ეგონათ, ზღვის ფსკერზე იზრდებოდა, და ამიტომაც ზღვის კაკალი უწოდეს. შემდეგ გამოირკვა, რომ ამ ნაყოფს 45—50 მეტრის სიმაღლის პალმა ისხამს, რომელიც ინდოეთის ოკეანეში მდებარე სეიშელის კუნძულებზე იზრდება. ამ კუნძულების დაბლობი ადგილები მარჯუნის სილითაა მოფენილი. ბუნება აქ ძლიერ მდიდარია. წინათ სეიშელის კუნძულებზე პალმების მთელი ტყეები იყო გაწლილი, მაგრამ შემდეგ თანდათან გაუჩნებიათ. მხოლოდ ერთ პატარა კუნძულზეა დარჩენილი ამ პალმების ქალა.

დიდი სიმაღლის მიუხედავად, ეს ხეები ძალიან ცოტა ფოთლებს ისხამს, რომ-



ლებიც მარაოსავით არის გადაშლილი. თითო ფოთოლი სიგრძით 7—8 მეტრი იქნება, სიგანით 3 მეტრი. ესე იგი თითო ფოთლით შეიძლება საშუალო სიდიდის ოთახი გადავხუროთ. მათი ნაყოფის დამწიფებას შეიძირვა წელიწადი სჭირდება. ამ იშვიათ ნაყოფს ახლა სეიშელის კაკალი ეწოდება.

სეიშელის პალმა ზედ ზღვის პირას იზრდება. მწიფე ნაყოფი თვითონ მოსწყდება ხოლმე მცენარეს და ზოგიერთ მათგანი შემთხვევით ზღვაში ვარდება. ზღვის ტალღები მათ ხან აფრიკის ნაპირზე გამოირყავს და ხან ინდოეთისაზე. ამიტომ იყო, რომ ინდოელები და აფრიკელები მათ ზღვის ნაპირზე პოულობდნენ.

ბ. კლიპი

ინალი

რომ ბანაობს ვინ არის?
პაწაწინა ინალი.
სულ იცინის, არ ტირის,
დაიბანა თავ-პირი.
უკვირს ფისოს, ფინიას:
სანის არ ემინია?!




სულ არ ეწვის თვალები!
ინალს ვენაცვალებით.
აქეთ-იქით ქანაობს,
იხვივით ქუყუშპალობს.
ღედა რომ ჰბანს, ვინ არის?
სულთა ბიკი ინალი!

ოსურიდან თარგმნა

ქ. შოთაშვილმა

წერაქვი და ბარი

ღუნგანური ზღაპარი



ერთ საკუქნაოში წერაქვსა და ბარს
ჰქონდა ბინა. წერაქვი ზარმაცი იყო, მუ-
შაობა არ უყვარდა. ამიტომ მოძებნა
ოთახის ყველაზე ბნელი კუნძული, ამო-
ფეხარა აბლაბუდას და ძლიერ უხაროდა,
რომ პატრონმა დაიციწყა.

ბარი შრომისმოყვარე იყო. ის პატ-
რონს ყოველდღე მიჰყვებოდა ბაღში და
ხეებს გარშემო მიწას აყრიდა. რაც უფ-
რო ბევრს მუშაობდა ბარი, მით უფრო
მეტად ბრწყინავდა და პრიალებდა.

წერაქვმა ეს შეამჩნია და ჰკითხა:

— მითხარი, დაიკო, რატომ პრიალებ
აგრე?

— მე მთელი თვე ბაღში ვმუშაობდი
და იმიტომ ვბრწყინავ. წადი, იმუშავე და
შენც ასე გაპრიალდები.

— არა, მე ეგ არ შემეფრის, დავისტრე-
ბი. ჩაილაპარაკა წერაქვმა და უფრო
ღრმად შეიმაღა.

ერთხელ, საკუქნაოში შემოსულმა პატ-
რონმა თვალი მოჰკრა ამ ძველ წერაქვს.
ოღესღაც წასმული ზეთი თავგებს სულ

შეეჭამათ. წერაქვს ქანგი მოჰკიდებოდა
და დაბლაგვებულიყო. გაჯავრებულმა
პატრონმა აიღო და თხრილში გადაის-
როლა.

დიღხანს ეგდო საწყალი წერაქვი ტა-
ლახში. ძალზე შეეცოდა თავისი თავი.
ინატრა, ნეტავ ბაღში ან ბოსტანში ვი-
ყო და კარგად ვმუშაობდეო.

გაიფიქრა თუ არა ეს, იმ წამსვე ფეხის
ხმა მოესმა. გზაზე თურმე ერთი ღარიბი
გლეხი მოდიოდა. გლეხმა დაინახა წე-
რაქვი, სახლში წაიღო, ახალი ტარი გაუ-
კეთა და ბაღში სამუშაოდ გაიტანა. წე-
რაქვი ისე მუყაითად შრომობდა, რომ
ერთი კვირის შემდეგ ახალივით ბრწყინ-
ავდა.

ერთხელ, ჩვენი წერაქვი თავის ძველ
მეზობელ ბარს შეხვდა.

— აი, ახლა კი ორივე ლამაზები
ვართ,—უთხრა მას ბარმა,—ეს იმიტომ,
რომ ორივე კარგად ვმუშაობთ.

თარგმანი მ. შონიასი

ყლის მატერობა ცულენის რ. კუცაბერიძის

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. ახაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრამაშვილი,

ქ. ვოგიაშვილი, მავალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. ზარციანი, ი. ხახარაძე, ნ. უნაქოშვილი,

მ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი)

გამოცემის ოცდამერვე წელი

ფან 2 836.

Д И Л А — ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии № 10, октябрь 1966 г. Тбилиси. Ленин 14.

საბლიტბაში, რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14 3 სართ. ბჯ. 8 37-38 პაპოძე, მეჯ. № 404 სტამბის უკუ. № 13001137.

ტბიჯი 15 000. 30 03284 ხალხოურულია დასაბამად 27/IX 55 წ. ტექსტი ანუზობია სოლიდარეუმობის კონსისტის

სტამბაში. გენერალ დაბუჭილია ფურცელზე 5

